



„ზოგადი თერაპიის დეპარტამენტი“ საწყისს იღებს პედიატრიული, სტომატოლოგიური და სანჰიგიენური ფაკულტეტების შინაგან სნეულებათა კათედრიდან, რომელიც დაარსდა 1931წელს.

1931 წლიდან 1957 წლამდე კათედრაზე მოღვაწობდნენ: პროფესორები - ნიკოლოზ ყიფშიძე, გრიგოლ დიდებულიძე, კონსტანტინე ვირსალაძე, გიორგი მხეიძე, ლევან ანჯაფარიძე, იოსებ ჯავახიშვილი; დოცენტები და ასისტენტები - შიო გუგუშაშვილი, მიხეილ გამცემლიძე, გიორგი ადამია, გიორგი რუსიშვილი, ნიკოლოზ მეგრელიშვილი, ნინა პეტრიაშვილი, ნათელა შენგელაია, იოსებ პარმა, შალვა გოგნიაშვილი, ნ.ალექსიძე, მ.ლეჟავა, ჯ.ცომაია, შ.ლორთქიფანიძე, ვ.შუბლაძე და სხვ.

1957 წელს კათედრა ორად გაიყო: შინაგან სნეულებათა საფაკულტეტო თერაპიის, შემდგომში პედიატრიული ფაკულტეტის შინაგან სნეულებათა კათედრა და შინაგან სნეულებათა ჰოსპიტალური თერაპიის, შემდგომში სანჰიგიენური და სტომატოლოგიური ფაკულტეტების შინაგან სნეულებათა კათედრა.

1957 წლიდან, შინაგან სნეულებათა ჰოსპიტალური თერაპიის, შემდგომ სანჰიგიენური და სტომატოლოგიური ფაკულტეტების შინაგან სნეულებათა კათედრას ხელმძღვანელობდნენ:

1957-1965 წლებში-პროფესორი ვლადიმერ გერსამია;

1965-1987 წლებში- პროფესორი სერგო კობალაძე;

1987-1994 წლებში- პროფესორი ბაადურ რაჭველიშვილი;

1994-1999 წლებში-დოცენტი თენგიზ მემმარიაშვილი (მოვალეობის

შემსრულებელი).

1957 წლიდან, შინაგან სნეულებათა საფაკულტეტო თერაპიის, შემდგომში

პედიატრიული ფაკულტეტის შინაგან სნეულებათა კათედრას ხელმძღვანელობდნენ:

1957-1975 წლებში-პროფესორი გიორგი მხეიძე;

1975-1989 წლებში-პროფესორი დავით ტვილდიანი;

1989-1992 წლებში- პროფესორი გედევან გელბახიანი;

1992-1994 წლებში-პროფესორი ნოდარ ბაქრაძე (მოვალეობის შემსრულებელი);

1994-1999 წლებში-პროფესორი ვაჟა გვანცელაძე.

1999 წელს მოხდა კათედრების კვლავ გაერთიანება და კათედრას ეწოდა „შინაგან სწეულებათა დიაგნოსტიკის და თერაპიის კათედრა“. კათედრის გამგედ დაინიშნა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ვაჟა გვანცელაძე.

კათედრაზე მოღვაწეობდნენ: პროფესორი ბაადურ რაჭველიშვილი, პროფესორი ვაჟა გვანცელაძე, პროფესორი გიორგი გურგენიძე, პროფესორი გიორგი კალანდარიშვილი, დოცენტი თენგიზ მემმარიაშვილი, დოცენტი ნათელა მითაიშვილი, დოცენტი ნანა დოლიძე, დოცენტი გურამ გიორგაძე, დოცენტი ზურაბ ზედანია, დოცენტი მარინა ტულუში.

ასისტენტები: თამარ შარაშიძე, გოდერძი საკანდელიძე, ადა კაპანაძე, მერაბ მალაქელიძე, გელა სულაბერიძე. ლაბორანტები: მ. ბერუჩაშვილი, ნ. ხეჩუაშვილი, ლ. ჩაფიძე, მ. აბრამაშვილი, ნ. იმედაშვილი, ნ. შაიშველაშვილი.

2001 წელს კათედრის გამგედ დაინიშნა პროფესორი გედევან გელბახიანი.

2006 წელს კათედრას ეწოდა: „ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ზოგადი თერაპიის დეპარტამენტი“.

2006 და 2009 წელს აკადემიურ თანამდებობებზე არჩეულნი იქნენ:

დეპარტამენტის ხელმძღვანელი-სრული პროფესორი გედევან გელბახიანი; ასოცირებული პროფესორი-მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გელა

სულაბერიძე;

ასისტენტპროფესორი- მედიცინის დოქტორი მარინა ტულუში;

ლაბორანტად დაინიშნა - მედიცინის დოქტორი ზურაბ ზედანია.

2013 წელს „ზოგადი თერაპიის დეპარტამენტის“ აკადემიურ თანამდებობებზე არჩეულნი იქნენ:

სრული პროფესორი -მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გელა სულაბერიძე;

ასოცირებული პროფესორი-მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი თეიმურაზ

კოდუა;

ასისტენტ პროფესორი-მედიცინის დოქტორი მარინა ტულუში;

2016 წლის არჩევნების შემდგომდე პარტამენტში მოღვაწეობენ:

დეპარტამენტის ხელმძღვანელი - უვადოდ არჩეული პროფესორი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გელა სულაბერიძე;

ასოცირებული პროფესორი მედიცინის დოქტორი მარინა ტულუში;

მოწვეული პედაგოგები - მედიცინის აკადემიური დოქტორი ზურაბ ზედანია და მარინა აბრამაშვილი; 2017 წელს კი ასისტენტ პროფესორად არჩეული იქნა მედიცინის დოქტორი კონსტანტინე ლილუაშვილი.

ამჟამად, დეპარტამენტს წარმოდგენილი აქვს და ახორციელებს 15-მდე უმაღლესი განათლების სასწავლო პროგრამას დიაგნოსტიკის საფუძვლების და შინაგანი მედიცინის დარგში 5 სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის (ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია, სტომატოლოგია, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ჯანდაცვის მენეჯმენტი, ექთანთა პროფესიული და საბაკალავრო კურსი, ფარმაცია). სასწავლო პროცესი ხორციელდება სამ ენაზე (ქართული, ინგლისური და რუსული).

ძირითადი სამეცნიერო და პრაქტიკული მიმართულებაა გასტროენტეროლოგიის მნიშვნელოვანი საკითხები, ასევე კვება, დიეტური მკურნალობა, შინაგანი მედიცინის სხვა სფეროები და არა-გადამდები დაავადებების მართვა.